№ 245 ნოემბრის 13, სამშაბათი. 1866—1884 ნოემბრის 13, სამშაბათი. № 245.

„დროების" რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба".

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

## „დროების" ფასი ნოემბრის 1-დამ წლის დამლევამდე 2 მანათი.

## სამეურნეო-პრაქტიკულ ცნობათა გავრცელება სოფლებში.

(პროვინციიდამ)

ყველა, ვისაც უდევნებია თვალყური ჩვენი დრო-გამოშვებითი გამოცემებისათვის, ადვილად შენიშნავდა, რომ ჩვენი საზოგადო მოღვაწენი უკმაყოფილონი არიან თავის ქვეყნის ღარიბი მდგომარეობით და ნამეტნავად ეკონომიურის დაჩაგრულობით. ეს უკმაყოფილება, სამწუხაროდ, უკმაყოფილებად რჩება და ხალხის ნივთიერი მდგომარეობა კი, თუ უკან არ იწევს, წინ მაინც არ აპირებს ფეხის წადგმას. როგორ უნდა გაუადვილდეს ცხოვრება ჩვენებურ გლეხს, როცა იმას ის საშუალებანი აქვს წარმოებისათვის, როგორიც ადამის დროს ყოფილა. ამ გვარი უმეცრებისაგან ხალხის დახსნა ბევრად არის დამოკიდებული მწერლობაზე და სამეურნეო სკოლებზე.

ამ ბოლოს დროს, ჩვენი ქვეყნის საკეთილ-დღეოდ, მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქცია სამეურნეო სკოლების დაარსებას და ხალხში მიწად-მოქმედობაზე ცნობების გავრცელებას. სხვა დაწინაურებულმა ხალხებმა კი, დიდი ხანია, რაც ეს საქმე მკვიდრ საფუძველზე დააყენეს. ამათ ღრმად სწამთ, რომ ხალხის ცხოვრებაში უმთავრესი საქმე მიწა და გუთანია. დასავლეთ ევროპაში ძნელად იპოვის კაცი იმისთანა მცირე და უნაყოფო მიწას, რომელიც მუქთად, უსარგებლოდ იყოს მიტოვებული და ერთიორად არ ასარგებლებდეს თავის პატრონს. „სხვა ქვეყანაში", ეუბნებოდა ამას წინედ გლეხებს ერთი ჩვენი ნიჭიერი მწერალი, «საცა ცოდნა აქვს ხალხს, ოთხი დღის მიწა ისე უჭირველად აცხოვრებს მთელს ოჯახს, როგორც ჩვენში ოცისა და ორმოცის დღის პატრონი ვერა სცხოვრებს». ჩვენში კი მიწა—ეგ მუქთი, ბუნებისაგან ჩაბარებული საკუთრება, რაც უნდა ბევრი ჰქონდეს კაცს, ვერ აკმაყოფილებს თავის პატრონს ისე, როგორც უნდა. რა არის მიზეზი ამისი? ის, რაც ბევრჯელ თქმულა ჩვენში და კიდევ მრავალ ჯერ ითქმის: ვკონებით სინათლეს, განათლებას მოკლებულნი ვართ. ბოლოს ჩვენშიაც ეძლევა თან-და-თან მეურნეობას თავის შესაფერი მნიშვნელობა. ამის ნიშანს წარმოადგენს ბ. ი. ხნამძღვარიშვილის სამეურნეო სკოლა, რომელიც ისე თანაგრძნობით და სიხარულით მიიღო ჩვენმა საზოგადოებამ. მაგრამ ამ ერთად-ერთს სკოლას, რაც უნდა აღტაცებით და საამაიათი მივიღოთ, არ შეუძლია ძირიანად ჩვენი მეურნეობის შეცვლა. საჭიროა კიდევ სხვა ღონისძიებას მივმართოთ და ვეცადოთ თან-და-თან გავრცელდეს სამეურნეო პრაქტიკული ცნობანი ჩვენ სიღარიბით და უმეცრებით მოცულ ხალხში.

აქ მე მსურს მივუთითო სამს საშუალებაზე, რომლითაც შეიძლება დავეხმაროთ ამ საქმეს. აი ეს საშულებანი:

ა) სოფლის მასწავლებელნი უნდა ეცადონ, რომ სწავლების დროს მარტივი, სასაუბრო და გასაგები ენით გადასცენ თავის შეგირდებს (მომავალ მიწის მუშათ) სხვა-და-სხვა უსაჭიროესნი ცნობანი მეურნეობიდგან, მაგალითად: ხვნა-თესვაზე, ბაღოსნობაზე, ბოსტნის კეთებაზე, შინაურ ფრინველთა და ოთხფეხთა მოშენებაზე და სხვ. რა საკვირველია, ამ მოვალეობის ასრულებისათვის იმათ დასჭირდებათ მეურნეობის თეორეტიკულად და პრაქტიკულად შესწავლა, რომელიც, არა მგონია, დიდ სიძნელეს წარმოადგენდეს მათთვის. ამ შემთხვევაში ზოგს მათგანს დაეხმარება სემინარიები და ზოგმა კი თვითონ უნდა შეისწავლოს მეურნეობა (წიგნების შემწეობით) თეორეტიკულად და შემდეგ პრაქტიკულად სოფელშივე. მასწავლებელთ და მიწათ-მოქმედთ შორის უნდა სუფევდეს აუცილებლად მჭიდრო კავშირი. ეს კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა სკოლას საგნად ექნება, გარდა ანბანის სწავლებისა—გავრცელება სოფლელთა შორის ცხოვრებაში გამოსადეგი ცნობებისა.

ბ) საკვირაო კითხვა და საუბარი მასწავლებლისა გლეხებთან მეურნეობაზე. ეს საშუალება, მით უმეტეს ადვილია, რომ ჩვენი ხალხი ძლიერ მოწადინეა ყოველ-ნაირი ცნობების შეძენისა და, ნამეტნავად, იმ ნაირი ცოდნისა, რომელიც იმას ლუკმა პურს აჭმევს. ზოგიერთ განათლებულ სახელმწიფოებში კი მეურნეობის გავრცელებისათვის სოფლებში არსებობს დაწესებულება „მეურნეობის მოგზაურ მასწავლებელთა" (странствующіе учителя сельскаго хозяйства). რასაკვირველია, ამისთანა მასწავლებელნი ჩვენში ჯერ სიზმარია.

გ) გამოცემა ხალხის საკითხავად დედა-ენაზე სხვა-და-სხვა თხზულებათა, რომელთაც საგნად ექნებათ მეურნეობის რომელიმე ნაწილის გაცნობა. ჩვენში, სამწუხაროდ, იშვიათად შეხვდებით ამ გვარ წიგნებს. ამას წინედ ბ. დარეჯანაშვილმა გამოსცა ერთი ბროშიურა, სახელად „როგორ უნდა მოშენდეს აბრეშუმი". მაგრამ ეს წიგნი ისეთი დამახინჯებული ქართულ-რუსული ენით არის დაწერილი, რომ ცოდვაა ის ხალხს მიეცეს საკითხავად.

ეჭვი არ არის, რომ დაბალ ხალხში (მეტადრე იმერეთში) ცოტად მაინც არის გახსნილი კითხვის სურვილი და, მგონია, „ყარამანიანის" კითხვას ზე-

---

«დროების» ფელეტონი, ნოემ. 13-ს

## ქუთათური ამბები

### დრო-გამოშვებითი წერილები ქუთაისის ავ-კარგიანობაზედ.

შეჩვეულის ჭირის მოშორებაც-კი ძნელია.—„პაჟარი" ორ-პირის ქუჩაზედ.—მაყურებელი ხალხის გულ-გრილობა.—ცეცხლის მქრობი მაშინა—კავები.—სალდათები... —ჯერ თავო და თავო...—საიდგან გაჩნდა ცეცხლი?! მივხვდი!—არქიმედის შუშები ფარნებში.—ფარნების შეზავება.—„არც მწვადი დაიწვის, არც შამფური".—ყურადღება!—სახლების №№-ის გამოწერა ადესიდამ.—სათვალის შემოკლება ძნელია.—როგორ სჯობდა?—პატარა რჩევა.—მხნეობაა საჭირო.—შიგა-და-შიგ წვრილ-წვრილი ამბები.

კარგა ხნობით ქუთათურნი მოწყენილნი იყვნენ თავის ჩვეულებრივის და შეჩვეულის ჭირის უნახაობით: სამმა-ოთხმა კვირამ განვლო, რაც ქუთათურთ არ მოუსმენიათ შუაღამე-გათენებისას გაცხარებული ზარების გუგუნი; ოთხი კვირაა მას აქედ, რაც «პაჟარი» არ უნახავთ. ხუმრობაა—ოთხი კვირა! კაცმა რომ ოთხის კვირის განმავლობაში თავისთან შეზრდილი ჭირი (ზოგიერთთათვის ლხინად შეცვლება ხოლმე) ვერ იხილოს... რას ბძანებთ: გაგონილა ან შესაძლებელია ამდენი მოთმენა?!... ის-ის იყო, ქუთათურები მზად იყვნენ თავიანთ შენობათათვის ცეცხლი მიეცათ და ლამაზათიანი «პაჟარი» გაეჩაღებინათ და პუპლიუც!—საიდგანაც არ იყო გამოტყვრა „პაჟარიც" თავის-თავად და ხალხი აღარ შეაწუხა.

ოქტომბრის 31-ს, ესე ღამის 2 საათზე შეიქმნა ერთი ღრიანცელი, ზარების მტვრევა!... მეტი ჯანი ღარ იყო წამოვარდი ლოგინიდამ: სხვა რომ არა იყოს-რა იქნება ჩემს სახლს ეკიდება ცეცხლი და თავს მაინც ვუშველი-მეთქი. (მერე საკუთარი ქოხი მაქვს ერთი და ისიც დაუსტრახავი—ხუმრობაა!) გავიხედ-გამოვიხედე მთელი ვაკე ქუთაისი და ნამეტნავად სილა გაჩაღებული და განათებულია.

ხალხი გაჩქარებული მიეშურებოდა თავის სანატრელს სანახველისაკენ. მომაგონდა—„მიჰყე მოჰყე სოფელსაო"... და მეც ავედევნე ხალხს... ვიარე, ვიარე და, დალახვრა ღმერთმა, ორპირის ქუჩაზედ-კი გაველ! ვეღარაფერი ვსთქვი ამის მეტი: «დასწყევლოს ღმერთმა, რა ყოველი უბედურება ამ ქუჩას სჩვევია-მეთქი». მივრბივარ გაცხარებული და ვიდრე ხალხს არ წავაწყდი,—თავი არ ამიღია. ავიღე თავი მაღლა და შენს მტერს, რაც მე დავინახე: მთელი შენობა საძირკვლიდამ-საყვავემდე ცეცხლის ალით იყო მოცული! იმდენს ხალხში, ერთი რა არის, ერთი კაცი არ ანძრევდა ხელს. არ ესეა, მოდენი ხალხი მოეშურებოდა აქ და რისთვის? არსად მინახავს ქუთათურებისთანა გულ-გრილი ხალხი უბედურს შემთხვევაში: გვერდით რომ ძმა ელუპებოდეთ და შველა შეეძლოთ,—ხელს არ გაანძრევენ და ისე გულგრილად დაუწყებენ «სეირის» ყურებას, თითქო აქ არაფერი ამბავიაო.

* * *

დაიწვა მთლად სახლი, სახურავი ჩამოწვა და მაშინღა მოგვესმა ზარების წკარა-წკური... იმედი მოგვეცა: ცეცხლ-მქრობი მაშინა მოვიდა და ცეცხლს მაინც გააქრობს, რომ სხვა სახლებს მაინც არ მოეკიდოსო. მაგრამ „მაშინების" მაგიერ, ჩვენ სამიოთხი კავი დავინახეთ მხოლოდ; კავებს მოჰყვა მეწყსეც—ძლივს! (ეტყობა, რომ მეწყსე მთელი ღამე დარაჯობს ქალაქს, თორემ ასე ადრე როგორ მოვიდოდა!) ცოტა უწინ მოვიდენ სალდათები, რომელთაც (მხოლოდ ამათ) მეორე პატარა სახლის სახურავს დაუწყეს მტვრევა. კავის მჭერელთ უნდა დაეწყოთ თუ არა მოქმედება და მოისმა ხმა: „ხელს ნუ ახლებთ მაგას!" ჩამოართვეს სალდათებმა კავები. ერთი ჩერქესკიანი აფიცერი გაუძღვა წინ სალდათებს და წაიყვანა დასავლეთისკენ. ხალხი სახტად დარჩა. ამბობდენ, რომ აქ მახლობლად მისი სახლიაო და სალდათები მის სადარაჯოდ წაიყვანაო. ქაი ფიქრია! მაშ სხვის სახლს მოჰსდგომოდა ყარაულად და თავისი სახლიკი უპატრონოდ დაეტოვებინა თუ?! არ გაგიგონიათ მაინც: „ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოვო"...

ჩაიწვა და ჩაიბუგა ეს უბედური ვილაც იოსელიანის სახლი, რომელიც

მო ნახსენები წიგნების კითხვას ამჯობინებს. უეჭველია ამ საშუალებებით შესაძლოა ვისარგებლოთ, თუ სოფლებში გვეყოლება შრომის მოყვარე და თავის საქმის კარგად მცოდნე მასწავლებელნი, რომელთა რიცხვი ჩვენში ჯერ მცირეა.

ი. ხოცეველი.

## შინაური ქრონიკა

— ბათუმიდამ გვწერენ შემდეგ გარემოებას: «ბათუმის მაზრის მცხოვრებნი სთხოვენ გუბერნატორს უმაღლეს მთავრობასთან შუამდგომლობას, რომ ბათუმი პორტო-ფრანკოდ აღარ იყოს, რადგანაც დიდი, ძალიან დიდი შევიწროება ადგიათ ტამოჟნის მხრით. ერთი არშინი ჩითის წაღება არ შეუძლიანთ ბათუმიდგან მაზრის მცხოვრებლებს, მაშინ, როცა ერთად ერთი სავაჭრო ცენტრი მთელის მაზრისა ბათუმია. რამდენსამე საზოგადოებას კიდეც შეუდგენია ჯეროვანი თხოვნა გუბერნატორთან ამ საქმეზე.

ყურადღების ღირსია შემდეგი ამბავი, რომელიც ამას წინად მოხდა: ერთი აჭარელი კაცი მიდიოდა ცხენით ბათუმიდგან სახლში. ქახაბერის ტამოჟნის პოსტზე სალდათებმა უპოვეს ამ კაცს უნაგირის ქვეშ სამი უბრალო ხელსახოცი. დაიჭირეს და წარადგინეს, საცა ჯერ არს, როგორც კონტრაბანდის მიმქონი. ტამოჟნის კანონებით მეკონდრაბანდეს უნდა გადახდეს ხუთჯერ მეტი იმ ფასისა, რაც დაჭერილი საქონელი ღირს, საქონელიც უნდა გაიყიდოს. უბედური აჭარელი ამას არ დააჯერეს და ცხენიც გაუყიდეს! არ მესმის ეს საქციელი! კანონით ყველაფერი გადახდა მეკონდრაბანდეს, ცხენი რაღა შუაში იყო; ნუთუ ესეც კონდრაბანდად იცნეს!?.

— ქიდამვე გვწერენ: ამას წინად ერთმა აფიცერმა ფ — მა ხმლით დასჭრა თავში ერთი ბერძენი. ამ დღეებში საცოდავი მსხვერპლი ჭკუაზე შეიშალა და ორი დღის განმავლობაში სული განუტევა. დარჩნენ ობლად და ოხრად მისი ცოლი და ხუთი წვრილ-შვილები. ამ აფიცრის ქცევას, რომელმაც თითქმის სულ უმიზეზოდ მოაშთარა ამოდენა წვრილ-შვილის მამა წუთის სოფელს, აქაური ზოგიერთა მოხელეები გულ-გრილად უყურებენ. ძნელია, როცა კაცს პატრონი არა ჰყავს, თორემ მაშინ ვნახავდით, რა გვარ მიმართულებას მიიღებდა ეს საქმე!..

— ბათუმიდამვე გვატყობინებენ, რომ იქაურის «წერა-კითხვის საზოგადოების» სკოლის სასარგებლოდ აპირობენ ამ მოკლეს ხანში სპეკტაკლის გამართვასაო; ამ საქმის თაოსნებად ასახელებენ ქქ. მ. ღ — ისას და მ — ნისას. ვისურვებთ, რომ მათი წადილი მალე განხორციელებულიყოსო.

— ქ. ზორი და სიღნაღი ძალიან გაჯიბრებულნი არიან უსუფთაობაში. როგორც ერთი ქალაქიდამ, ისე მეორიდამ მუდამ მოგვდის საჩივარი ქუჩების უსუფთაობაზე, მუხლამდე სარევ ტალახზე და საშინელს ორღოჩოღორობაზე, რომლებიც კისერს ანტვრევინებენ ხალხს, მობინდდება თუ არაო.

,,თვით ეს ქუჩა, — გვწერენ სიღნაღიდამ, რომელიც პოლიციისკენ მიდის, საშინელს უსუფთაობას წარმოადგენს. ამ ბოლოს ცოტათი დაიწყეს ქალაქის სიკეთეზე ზრუნვა. ქალაქის ხარჯით მოედანზე გააკეთეს სამი პატარა ფიცრის დუქანი, რომლის შემოსავალი, როგორც გვითხრეს, ქალაქის გასანათლებლად დაინიშნება. მადლობა ღმერთს!''

— სწორედ გაუჭირა საქმე ყვავილმა სიღნაღის მაზრას: ,,ჩვენი მაზრის უბედურება, გვწერენ ამ მაზრიდამ ჩვენდა სამწუხაროდ, დღითი დღე მატულობს. ჩვენში იქამდინ გავრცელებულია ყვავილი, რომ ლამის არის სრულებით მოუღოს ბოლო ჩვენს მომავალს თაობას. ვერა ჰნახავთ სახლს, სიდაც არ იყოს გაძლიერებული დიდის გუნდის იავნანის და ჩონგურის ხმა; ყვავილების მსხვერპლთა რიცხვმა იქამდინ აიწია, რომ თითქმის მ — ლნიც შეაბეზრა იმათმა მარხვამ. საქმე ის არის, რომ ბატონების ავადმყოფები მოკლებულნი არიან პატრონის ჯეროვანს ყურადღებას და საჭირო დროს წამალს; ამ უკანასკნელის ხმარება დიდს შეცოდებას შეადგენს, მათის შეხედულებით, ბატონების წინაშე; ამ გარემოებას იქამდინ მიჰყავს საქმე, რომ მუწუკებში უჩნდებათ მატლები და ზეზეურ სჭამენ ჯერეთ ცოცხალს ავადმყოფს და თავიანთის დაუცხრომელის მოძრაობით რა მწუხარებაში შეიყვანენ მას, თქვენ თვითონ შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ. ნუ თუ ჩვენი შველა და დახმარება არსაიდამ არ შეიძლება და ასე ღვთის ანაბარად უნდა ვიყვნეთ დარჩენილნი''?!..

— ქუთაისის გუბერნიის ერთს დაბაში, სადაც განთქმულია პარასკეობა, ერთის დაწესებულების უფროსისთვის მოქმედებით შეურაცხ-ყოფა მიუყენებია რამდენსამე ყმაწვილს. ხსენებულს უფროსს სულ სამი თვე თუ არის, რაც ჩაბარდა ამ ფხონის (ხრიოკი) დაბის დაწესებულება.

— ,,ნოვოე ვრემიაში'' ვკითხულობთ: «თბილისიდამ მოვიდა ამბავი, რომ გაზ. „კავკაზი“ სხვის ხელში გადადისო. რა მიზეზია — არ ვიცით. მაგრამ რიგი იყო კი, რომ ისევ თ. ერისთავს დარჩენოდა გაზეთი. თავადი ერისთავი პირ-აქეთ იძლეოდა ორმოც ათას მანათს იჯარას ხუთის წლის ვადით, თუ კი გაზეთს სახაზინო სტამბისაგან განათავისუფლებდენ და ოც-და-ხუთ ათასს, თუ ამავე სტამბაში დარჩებოდა. ეხლა კი გაზ. „კავკაზი“ გადადის გამომცემლად ნამყოფ ბ. ტიბენკოვის ხელში ოთხი ათასი მანათის სუბსიდიით ხუთის წლის ვადით. თხოულობდა ბ. როგორც გვწერენ ჩვენ, მას უპირატესობა მიანიჭეს ისეთს მწერალთან, შედარებით როგორიც ბ. ქებენი მარკოვია!

# ტელეგრამები

(,,ჩრდილოეთის სააგენტოსი'')

ნოემბრის 9-ს.

ვენა. აქაური გაზეთები ამბობენ, რომ სატახტო სიტყვა გერმანიის იმპერატორისა მშვიდობიანობას მოასწავებსო.

ბუხარესტი. არჩევანები პალატაში მმართებლობის სრულის გამარჯვებით გათავდა; ხვალ დაიწყობა არჩევანები სენატში.

შან-ჰაი. აქ მოვიდა ჩინელთ ორი

---

,,დასტრახულიც'' ყოფილა და ბანკში დაგირავებულიც. საკვირველია, რომ სახლში არავინ სცხოვრობდა და საიდგან და როგორ გაუჩნდა ცეცხლი? სხვა სახლის ბუხრის ნაპერწკლებისგან ვერ გაუჩნდებოდა, რადგანაც ამ დროს არავის ენთო ცეცხლი არც სამზარეულოში და არც ოთახებში. მერე, ისეთის სისწრაფით (სულ ათი-თხუთმეტი წამის განმავლობაში) მოედო მთელს სახლს ცეცხლის ალი, რომ ყველანი განცვიფრებულნი იყვნენ.

***

— მივხვდი! «ძლივს არ მოვიფიქრე, აი დალახვრა ღმერთმა, რამ გადამავიწყა, ბიჭოს!» აი, ბატონო, საიდგან გაჩენია ცეცხლი: ცოტა შორიდგან მოგვიხდება დაწყობა, მაგრამ არა უშავს-რა, „მოთმინებითა თქვენითა“... მოგეხსენებათ, 200 წ. წინად ქრისტეს დაბადებამდინ, სიცილიის კუნძულზედ ქ. სირაკუზში ჰსცხოვრებდა შესანიშნავი მეცნიერი — გეომეტრ-ფიზიკოს ქიმიკოსი, სახელად არქიმედი, რომელიც, თუმცა ,,ივან ჩილაშვილისთანა'' კრიტიკოსი და მეგაზეთე ვერ იყო, მაგრამ მაინც მეცნიერ კაცად იყო ცნობილი. ამ არქიმედმა ისეთი შუშები მოიგონა, რომლის შემწეობითაც თავის სამშობლოს დასაპყრობად მოსულს რომაელთა სამხედრო ხომალდებს ცეცხლს უკიდებდა და სწვამდა... აი, სწორედ იმ არქიმედის მინები გამოუწერია ჩვენის ქალაქის გამგეობას და ისინი ჩაუსმევინებია იმ ფარნებში, რომლებიც ორპირის ქუჩაზედ არიან ჩამწკრივებულნი ერთი მეორიდამ იმოდენს მანძილზედ, რამოდენაზედაც ფრანცუზი დე-ლატუში გარბის ერთ ჯერად... რადაო, იტყვით, რად უნდოდათ არქიმედის შუშიანი ფარნებიო? — იმიტომ, ბატონო, რომ ამნთები კაცი აღარ არის საჭირო: ერთს რომ მოუკიდებენ ბულვართან, ან ხიდის ყურთან, — მისის სიცხოველით, თუ ელექტრონულის ძალით, — რა ვიცი, — მეორეს მოეკიდება, მეორედგან მესამეს და ასე გაჰყვება ქუჩის გათავებამდინ. ხან-და-ხან ზოგიერთს ფარნებს გასცდებათ ხოლმე ამნთები ძალა, მაგრამ რა უშავს: ნავთი შემდეგისთვის დარჩება.

ასე: არც ამნთებია საჭირო და არც გამწმენდი, რადგანაც ყველა ფარნებს გარეშემო განგებ მური აქვსთ წასმული, რომ, ვინიცობაა, ძალიან არ გაანათონ და თავისის მეტის-მეტი შუქით თვალები არავის დაუბრმაონ... ხუმრობა ხომ არ არის: განა ისე უფრთხილდებიან ქალაქის პატრონნი მოქალაქეთ?! ესეც რომ არ იყოს, შეიძლება დიდი სინათლე სხვებმა „პაქარად“ მიიღონ და ხალხი შეწუხდება ტყუილ-უბრალოდ. უეჭველია ამას თავი დავანებოთ და ფარნები რომ მურით არ იყვნენ გაშავებულნი, — შეიძლება არქიმედის კანონის თანხმად — შენობებს გაუჩნდესთ ცეცხლი. ეხლა-კი, მურის წყალობით არც სახლები იწვის ფარნებისაგან, არც არავის თვალები უბრმავდება მეტის სინათლისაგან (თუმცა ცხვირ-პირს-კი ხშირად იმტვრევენ სიბნელისაგან წყვდიადში; მაგრამ რა უშავსთ: გაიზრდებიან — დაავიწყდებათ... ან, ღამე ნუ ივლიან-რა!) და არც არავინ თავს იწუხებს მათის წმენდით: არიან თავისთვის და მხოლოდ თავისთავს ანათებენ ფარნები... ვისაც უნდა — შეუძლიან პაპიროზი, ან ყალიონი მოუკიდოს ზედ; არც სპიჩკას დაჰხარჯავს და არც ქირას გაიღებს... და აი, საუბედუროდ (ახლა ,,პაქარის'' გაჩენის მიზეზს მოგახსენებთ), იმ ფარანს, რომელიც იმ უბედურის სახლის პირ-და-პირ არის, თურმე რაღაც მანქანებით მური გადასვლოდა შუშაზედ და იმწამსვე — ტკაც! — ნაპერწკალი ეცა თურმე სახლსა და ჭახჭახი დააწყებინა!... აქ უნდა დავუმატოთ, რომ იმ ღამეს საშინელი ქარი, ისეთი ძლიერი ქარი იყო, რომ მთელი უშველებელი ნაკვერჩხლები და ალი გადმოჰქონდა სახლიდგან. მადლობა ღმერთს, რომ სახლს დასავლეთით (საითკენაც უბეროვდა ქარი) კარგა მაღალი ხშირი ხეები ედგა, რომელნიც იჭერდენ ალსა და ნაკვერჩხლებსა თავისის ხშირის შტოებითა, თორემ შენი მტერი: ეს ხეები რომ არ ყოფილიყო, მთელი ,,სოლოლაკი'' (ხის შენობანია მხოლოდ) სულ-ერთიან გადიწვოდა და, ვინ იცის, რამდენი უბედურება მოხდებოდა! და ყველა ეს რისთვის? — იმიტომ, რომ... თუნდ იმიტომ, რომ ორ-პირის ქუჩაზედ ერთს ფარანს მური გადუვიდა შუშიდამ!... კიდეც იმიტომ არ ჰსწმენდენ ფარნებს!...

ეჰ, ღმერთო, დაილოცა შენი სამართალი! სწორედ რომ სირცხვილია ,,ადამიანთა'' უთავ-ბოლოობაზედ ამდენი ლაპარაკი!.... მაგრამ რას იზამ — ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობასაო''... და ამ შემთხვევაში სწორედ რომ სჯობს თქმა... ჩვენ განგებ გავაგრძელეთ საუბარი ,,პა-

ჯავშნიანი კრეისერი; ამბობს, რომ, ეს კრეისერები სხვით ხელს შეუშლიან ფორმოზის ბლოკადასა.

ნოემბრის 10-ს

პეტერბურგი. სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ხელ-ქვეით, მეურნეობის ინსპექტორს ქავკასიაში მიროშს, ერთგულის სამსახურისათვის, მისცეს დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკობა.

ოქტომბრის 2-ს ქუჩაში მომხდარს უწესოებაში მონაწილეთაგან 17 გამორიცხულ იქმნა უნივერსიტეტიდამ, 4 დაიჭირეს, 31 სტუდენტი უნივერსიტეტიდამ იქმნა დამწყვდეულნი; უკანასკნელთ კიდევ შეახურდეს ვანი-სასჯელის.

«მოსკოვის უწყებათა» საფინანსო სტატიის გამო, ფინანსთა სამინისტრო ამბობს, რომ არაფითარი მაინგზონ ღონის-ძიება არ გაიმართა განგებ ქაღალდის მანეთის ფასის ასაწევათ; პირ-იქით, იგი არ ჰყიდა და დღეს არ ჰყიდის სახელმწიფო ბანკში მოგროვებულს ოქროს. სახელდობრ, იმისთვის, რომ ეხლა, როცა ჩვენი საქონელი ცოტა გადის საზღვარ-გარედ, ოქროს გასყიდვეს მოჰყვებოდა ქაღალდის ფულის ფასის მომეტება, შესუსტდებოდა ჩვენის ნაწარმოების გატანა საზღვარ-გარედ და გადიდდებოდა საზღვარ-გარეთიდამ მოტანა საქონლისა; რაიცა მეტისმეტად შეაფერხებს სამშობლოს დაწყობილებას, ეს წარმოსდგა აღმოსავლეთის ომისაგან და რკინის გზათა გაყვანის გამო, რომელნიც უკანასკნელს დროს კეთდებოდენ მომეტებულს ნაწილად სახელმწიფო ხაზინის საშუალებით. თუ შეერთებულმა შტატებმა 16 წლის განმავლობაში 700 მილიონი ვალი გადიხადეს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ თავიანთ განსაკუთრებულის მდგომარეობის გამო, მათ შეუძლიანთ იქონიონ მხოლოდ 25,000 ჯარის კაცი და არა-ურიცხვი ფლოტის ყოლა და შენახვა.

რომი. ოფიციოზური ორგანი ვატიკანისა „Observatore Romand“ გამოტეხით ამბობს, რომ პაპამ მიიღო დეპუტაცია უნიატებისა პოდლიახიიდამ, მაგრამ ცდილობს, რომ ამ მიღებას ჩვეულებრივის ფაქტის მნიშვნელობა მისცეს. გაზეთი ამბობს, რომ პოდლიახელნი კათოლიკნი დარწმუნებულნი არიან რუსეთსა და ვატიკანის მეგობრობაში და პაპას მხოლოდ თავიანთ სასულიერო მოთხოვნილებანი შეატყობინეს მოკლე აუდიენციის დროსა; გაზეთი არაფერს გასაკვირველს არა ჰხედავს იმაში, რომ დეპუტატებმა სთხოვეს პაპას შუამავლობა თავიანთ სასარგებლოდ და ჩივის, რომ, ზოგიერთა ენა — დაუყენებელთა წყალობით, ეს ამბავი ქვეყანაში იქმნა გამოტანილი და მისცა საბაბი, გაზეთის აზრით, უმართლო განმარტებათათვის.

მოსკოვი. გუშინ იუსტიციის მინისტრმა ინახულა შენობა სამოსამართლო დაწყესებულებათა და მიჰმართა იქ მყოფთა სიტყვით, რომლის შინაარსიც დაახლოვებით იყო შემდეგი; „მე მოვიარე ბევრი სამოსამართლო ადგილები რუსეთისა, დავათვალიერე საქმეთა წარმოება, დავესწარი სასამართლოთა საჭირო სხდომებს და სასიხარულო შთაბეჭდილება მივიღე როგორც თვით სასამართლოდგან, ისე იმ პირთაგან, რომელნიც მე პირად გავიცან და მათი აზრი რომ მოვისმინე ამ სასამართლოებზედ, დავრწმუნდი, რომ ყველა სასამართლოს მოღვაწენი პატიოსნად და მოვალეობის სრულის შეგნებით ეკიდებიან თავიანთ საქმეს. ეჭვი არ არის, რომ ამოდენა სამოსამართლო უწყებაში იქნებიან ისეთი პირნი, რომელნიც შეიძლება არ შეესაბამებოდენ თავიანთ მოწოდების მაღალს მნიშვნელობას. განსაკუთრებით ის მომეწონა, რომ ყველგან სამოსამართლო მთავრობა თანხმობით მოქმედობს ადმინისტრაციულ მთავრობასთან ერთად; ადვოკატურაც შველის აგრეთვე საქმეთა კანონიერს მსვლელობას; საყვედური და ჩივილი სასამართლოებზე, რომელიც ამ უკანასკნელს დროს ისმის, უსაფუძვლოა. პეტერბურგში დავბრუნდები თუ არა, ბედნიერებად ჩავსთვლი მოვახსენო ყოველივე ესე მის იმპერატორებითს უდიდებულესობას. ყოველივე მოძრაობა და სიტყვა სამოსამართლო უწყების პირისა ყველას თვალ-წინა აქვს და კონტროლი საზოგადოებისა მოსამართლეებზე განუწყვეტელია, მოღვაწეობა სასამართლოსი წარმოადგენს განსაკუთრებულს სიძნელეს, რადგანაც სრულიად ეს მოღვაწეობა სწარმოებს საჯაროდ, არა ისრე, როგორც სხვა დაწესებულებებში; შეიძლება ითქვას, რომ სამოსამართლო დაწესებულებანი თითქო შუშის ბურთში არიან, რომლის ქვეშაც ყველა მსურველს შეუძლიან გაარჩიოს მოქმედებანი და მოძრაობანი დიდის მაშინის თითოეულის ნაწილისა და, რადგანაც სამოსამართლო დაწესებულებანი ჯერ ისევ ახალი საქმეა, დღემდე შენიშნული გარეგანი ნაკლულევანება ტეხნიკისა, თავის დროზედ გასწორდება; განზრახულია ცოტაოდენი ცვლილებანი, რომელნიც მაინცა და მაინც არ შეეხებიან თვით საფუძველს სამოსამართლო წესდებულებათა და საერთოდ შრომა ყველასი შეჰქმნის სრულს ჰარმონიის სამოსამართლო სამქმეებში.

ნოემბრის 11.

პეტერბურგი. დღევანდელს დღეს 50 წლის შესრულებისას არქიელის ხარისხით სამსახურისა მიტროპოლიტის ისიდორეს მიერ, ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა უფლება რომ ჯვარი წაიმძღვროს ხოლმე წინ სასულიერო პირთაგან.

პეტერბურგი. მიტროპოლიტის ისიდორეს იუბილეი გაგრძელდება სამს დღეს. გუშინ დაიწყეს მილოცვა ქვარხიალ ურმა დეპუტაციებმა; ყოველმა დეპუტაციამ ჩამოიტანეს ხატები. დღეს მღვდელ-მთავრების წირვაა ეკლესიებში; თვით იუბილიარმა სწირა თავის საჯვარე ეკლესიაში. ჯვრის გარდა იუბილიარი მიიღებს უდიდებულესს საჩუქარს ოქროს ჩარჩოში ჩასმულს და ბრილიანტებით შემკულს სამთა იმპერატორთა სურათს, რომელთთანაც ღვდელ-მოქმედება აღუსრულებია მას.

ნოემბრის 12-ს

პეტერბურგი. გუშინ, პარაკლისის შემდეგ ლავრაში იუბილიარს მიულოცეს დიდთა მთავართ: მიხეილ ნიკოლოზის ძემ, კონსტანტინე ნიკოლოზის-ძემ მეუღლით და ალექსი ალექსანდრეს-ძემ. შემდეგ მიტროპოლიტმა მიიღო მილოცვა მინისტრთა და სხვა წარჩინებულ პირთაგან. უწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორმა გადასცა იუბილიარს უდიდებულესი რესკრიპტი და საჩუქარი; უწმინ-

---

ქარზედ“, რადგანაც, თუ თქვენც, მკითხველო, დამეთანხმებით, — ამგვარი „პაქარები“, რომელიც ეხლა აქ მოხდა, — ფრიად საყურადღებო და საგულისხმონი არიან. ჩვენის საუბრის უმთავრესს საგანს, აქა-იქ სხვა, რამდენიმე ქალაქის ვარამი და ვაგლახიც დავურთეთ და, გვგონია ჩვენ, დროა ყველა ამას დაუყოვნებელი და შესაბამი ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერ-არს, თორემ შენი მტერი, ცუდად არის საქმე...

***

ოდ-პირის ქუჩისათვის ფარნები გამოიწერა ქალაქის მმართველობამ „გრანიცისა“ და თბილისის ქუჩისათვის კიდევ ნომრები სახლებზედ მისაკვრელი. ქუთაისის სახლები ჯერაც ისევ დაუნომრავები გახლავსთ (ეს გარემოება დიდი უბედურობა არაა, რადგანაც თვით თბილისშიაც 1877 წ., ერთ-დღიურის (ერთ-კვირული) აღწერის შემდეგ დანომრეს სახლები) შარშან მოუვიდათ აზრი ქალაქის გამგებელთ — ქუთაისის სახლების დანომრვისა, აზრი საქმედ გარდაიქცა და გარდასწყვიტეს №№-ის დამზადება. თბილისელნი ნუ იფიქრებენ, ვითომც აქაც იმათებური, გრძშიანი თუნუქის ნაგლეჯების მიტყლაპება გარდაეწყვიტოთ, — სულაც არა: ქუთაისის გამგეობამ ოდესის წარჩინებულს ქარხანას შეუკვეთა ლამაზი, შავ-არშია-შემოვლებული, თეთრ-ადგილიანი და შავის ფერით ჩახატულის № №-ბით, თვითო ცალი — ათ-ათ შაურად, რამდენიც მოუნდებათ. შარშან ასიოდე №-ი მოუვიდათ „პრობად“ და ძალიანაც მოეწონათ. მეორეს დღესვე იყიდეს ორასი ლურსმანი, იყიდეს ახალი მუხის კიბე (ხე ტყე თვითონ მისცეს თავის სალორიის ტყიდგან), დაიქირავეს ოსტატი და მიაკრეს № №-ბი თბილისის ქუჩის ბედნიერს სახლებსა. ისე დამშვენდენ სახლები № №-ბით და ისე მოეწონათ ქალაქის პატრონთ თავისი გამოგონების ნაყოფი, რომ სიამოვნებით ტუჩებს იკვნეტდენ და ხელებს იფშვნეტდენ... ეს ამბავი შარშან მაისში გახლდათ. მას აქედ რამდენი ხანი გავიდა, თბილისის ქუჩაზედ ლამის გაცვდენ № №-ბი და არხეოლოგიურ ნივთებად შეიქმნენ და ჯერ სხვა ქუჩების სახლებს სუნიც არ მიჰსვლიათ № №-ბისა! არ ვიცით, რა დააშავეს სხვა სახლებმა, სწორედ არ ვიცით!.. ხუმრობა გაშვებით, და, ვგონებთ, № №-ბის დაგვიანება ქალაქის ხაზინის ქესატობისაგან წარმოსდგება და, სწორე მოგახსენოთ, საჭიროც არ იყო უეჭველად ოდესიდამ დაბარება № №-ბისა. პარგი ჩაკმა-დახურვა, ყოველისფერში ლაზათი, — ყველას მოუხდება და ესიამოვნება; მაგრამ „ისე გამოაცხე, რომ საფანელი არ შემოგაკლდესო“, — ნათქვამია. ქალაქის მმართველთ ჯერ ხაზინაში უნდა ჩახედონ ხოლმე და შემდეგ, შეძლების დაგვარად, დაიჭირონ საქმე.. ჩვენის ფიქრით, უკეთესი იქმნებოდა ქუთაისშივე გაეკეთებინებინათ უბრალო თუნუქის № №-ბი აქაურ ხელოსანთათვის, — უფრო სასარგებლო იქმნებოდა რამდენიმე მხრით: აქაური ღარიბი ხელოსნები სამუშაოს იშოვიდენ, ფული ისევ შიგ ქალაქში დარჩებოდა; აქამდინ ყველა სახლებს ექმნებოდა № №-ბი და ბოლოს თვით ქალაქის ხაზინასაც ათ-ჯერ ნაკლებ მაინც დაუჯდებოდა... ყოველთვის ასე უნდა მოიქცეს ქალაქის, და ნამეტნავად იმისთანა ქალაქი (საზოგადოებაც), როგორიც გახლავსთ ჩვენი ქუთაისი. აქვე საზოგადოდ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ფულით, მართლა მეტად ღარიბია ქუთაისი. რამდენჯერ შევხვედრივარ ბაზარში და ბულვარში დავთრით ხელში „აცენკის“ შემკრებს, რომელიც ეძრიჯება შაბათის-გლახასავით, ხან ერთსა და ხან მეორეს — „აცენკის ფული მომეცით“; მაგრამ ყველასაგან ხელ-ცარიელი ბრუნდება (ამბობენ, რომ «აცენკას» უფრო ისინი არ იძლევიან, რომელთ სახლებსაც № №-ბი არ აკრავთო, „აბიდათ მიუღიათო“ ურომროდ დატოვებაო). ძარღვი იქმნება ქალაქის გამგეობა რამე, უფრო საიმედო ღონისძიებას გამოსძებნიდეს აცენკის შესაკრებად. მართლაც ქალაქს მრავალი საჭიროება აქვს და ყველა ამას ფული ეჭირვება. თუ ფული არა აქვსთ, — ქალაქის გამგენი ვერაფერს გააწყობენ... მაგრამ, ხან-და-ხან-მეთქი ჩვენი გამგენი ყურს მოაყურებენ ხოლმე, თითქმის „ქალაქი და ქალაქის საქმე ფეხებზედ ჰკიდიათო“... „გამხნევდი და განძლიერდეო“ — ჰსთქვა მაცხოვარმა. ნუ დაიზარებთ, იმხნევეთ თქვენც და ცოტ-ცოტათი წარმატებაში შევა ქალაქიც და მისნი მცხოვრებნიც...

რაულ დე-ლა-ტრამბლე.

ქ. ქვა-თავისი.
გიორგობისთვის 10-ს.

Доз. ценз. Тифлисъ, 12 Ноября

დესის სინოდისაგან მილოცვის დროს, უხუცესმა წევრმა, მიტროპოლიტმა პლატონმა მიესალმა იუბელიარს, და ობერ-პროკურორმა წაიკითხა ადრესი.

**პარიჟი.** გუშინ საღამოთი მოგროვდა აუარებელი ხროვა უსაქმოდ დარჩენილ მუშებისა. ცხარე სიტყვებმა და რევოლიუციურ სიმღერებმა გამოიწვიეს პოლიციასთან შეტაკება. დაიჭრა რამდენიმე პოლიციელი; 30 კაცი დაჭერილია.

ნოემბრის 11-ს

**პეტერბურგი.** „Observatore Romano“-ს სტატიის გამო პაპას მიერ უნიატების დეპუტაციის მიღების შესახებ, „ჟურნალ-დე-სან-პეტერბურგი“ სიამოვნებით აცხადებს, რომ ვატიკანის ორგანმა ბოლოს გადაწყვიტა ხმა აღიმაღლოს კათოლიკურ გაზეთების ბოროტ-განზრახულებით სავსე გაზვიადებასა და ცილის წამების წინააღმდეგ. გაზეთი თავს ანებებს „Observatore“-ს განმარტების დაფასებას და შენიშნავს, რომ კათოლიკურმა მწერლობამ სწორედ სვერნევიცის მოლაპარაკების შემდეგ დაჰკრა განგაში პაპას მიერ დეპუტაციის მიღებაზე, რომელსაც ვატიკანის ორგანი უვნებელსა და ჩვეულებრივს გარემოებას უწოდებს. ეს ამბავი ულტრამონტანულის მწერლობისა საკმაოდ ამტკიცებს, რომ ეს ხრიკი პოლშური ჩამომავლობისა არის, რომლის საგნად ისაა, რომ განხეთქილება ჩამოვარდეს სამ მონარხთა შორის, რომელთა მეცადინეობა თანხმობისა და ჰარმონიის დამკვიდრებაა იქ, საცა პოლშელ-აგიტატორებს განზრახვა აქვთ შეიტანონ მტრობა, ჩხუბი და ომი. აი დასაბამი ყოველივე ბოროტებისა. არა იშვიათად იყო ნაჩვენები, რომ უთანხმოებანი საიმპერატორო კარისა და ვატიკანის შორის წარმოსდგება განსაკუთრებით იქიდგან, რომ უნდათ გააერთიანონ კათოლიკური ეკლესიის ინტერესები რუსეთში პოლიტიკურის პოლონიზმის ინტერესებთან; დღევანდელი შემთხვევა—ახალი დამტკიცებაა ამისი; ის ზომიერებანი, რომლებზედაც ჩივიან უნიატების დამცველნი, გამოწვეულ იქმნენ ნამდვილის პოლიტიკურის ხრიკების მიერ, რომელთაც საგნად ჰქონდათ გაპოლიაკება ხალხისა და მისი მმართებლობის მტრად გახდომა. როგორც კი რომლის კურია აიცილებს თავიდამ იმ საშიშროებას, რომ აღარ შეურევს ერთმანეთში პოლიტიკასა და რელიგიას, არავითარი უთანხმოება არ დაარღვევს რუსეთის სურვილს მეგობრობისას კათოლიკურ ეკლესიასა და სახემწიფოს შორის.

**პარიჟი.** ალჟირიდამ გაგზავნილ იქმნა, ტონკინში გუშინ 2000 კაცი და მომავალ კვირასაც კიდევ 2,000 კაცი იქმნება გაგზავნილი.

მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა გადიდოს შემდეგისათვის ბაჟის მომატების საქმე პურსა და ფქვილზე.

**თიენ-ძინ.** ჩინეთის თურქესტანი გადარქმეულ იქმნება მე-19 ჩინეთის პროვინციად და ისეთს მმართვას დააწესებენ, როგორც სხვა პროვინციებშია.

მარკიზი ცენგი-მომხრეობისა დაინიშნა სამხედრო კომისიის ვიცე-პრეზიდენტად.

# ცნობანი

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე 1884 წ.

| | | |
|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | |
| პირველი ხარისხის | —1 გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 გ. | 3 კ. |
| მესამისა— — | —1 გ. | $2^1/_2$ |
| ჯვარის-მამი პური: | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — — | —1 გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხისა | —1 გ. | 7 კ. |
| მეორისა— — | —1 გ. | 6 კ. |
| სუკი . . . | —1 გ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 გ. | 7 კ. |
| ღორის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხისა | —1 გ. | 7 კ. |
| მეორისა— — | —1 გ. | 6 კ. |


# განცხადებანი

ქმ. კილაძეთა წიგნის მაღაზია

## ქუთაისში

აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მან საკუთრებად შეიძინა მთელი გამოცემა აკაკის განთქმული პოემის **თორნიკე ერისთავისა**, რომელიც ისყიდება მხოლოდ ამ მაღაზიაში, ეკზემპლიარი თითო მანეთად. იქვე ისყიდება ყველა ქართული გამოცემანი, სხვათა შორის: სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, ვის-რამიანი, თ. გ. ერისთავის თხზულებათა კრება ჩინებულს ყდაში და სხ.; ყოველ-გვარი სახელმძღვანელოები ქართულს და რუსულს ენაზე, სასწავლო და საკანცელარიო კუთვნილებანი. ამავ მაღაზიამ შეიძინა უფლება და შეუდგა გამოცემას ჩვენი ორი დიდი პოეტის **ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის** თხზულებათა კრებისას. (10—4)

ა რ წ რ უ ნ ი ს ე უ ლ ქ ა რ ვ ა ს ლ ა შ ი

სასახლის ქუჩაზედ, იძლევა ქირით მაღაზიები, სადგურები კანტორებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. პირობების შეტყობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში. (25—25)

მომზადება და გასყიდვა ხსენებულის წასასმელის წამლისა, რომელშიაც არა ვითარი კაცის ჯანისათვის მავნებელი ნავთიერება არ ურევია, ნება—დართულია მოსკოვის საექიმო მმართველობისაგან საერთო სავაჭრო წესით.

„პ ე რ უ ი ნ ი“

წვენი პერუვიელ საბალზამო მცენარეთაგან, დიდის ხნიდამვე ყველა ქვეყნებში ცნობილი საშუალება.

**ხშირის და ლამაზის წვერის გასაზრდელად.**

წვენი, რომელსაც ამზადებენ პერუვიელ მცენარეთაგან, როგორც ვიცით, ზოგიერთა თმის საზრდელ და თმაზე წასასმელ წამლების არევით, იღებთ შესანიშნავს თვისებას წვერის თმის ძირის გამაგრებისთვის და საკვირველად სწრაფად ეხმარება მის ზრდას.

ეს საშუალება ისეთი ნამდვილი საშუალებაა,

რომ პერუინის ხმარებით თვით ახალ-გაზდა ყმაწვილებსაც კი რამდენსამე კვირის შემდეგ, ეზრდებათ მშვენიერი და ხშირი წვერი.

მრავალი სამადლობელი წერილები.

მოწმობენ განსაცვიფრებელს მოქმედებას, ფასი შუშისა 1 მან. 50 კაპ. გაგზავნით ისყიდება რუსეთის ყველა სააფთეკო მაღაზიებში.

უმთავრესი დეპო ამიერ—კავკასიისათვის თბილისში საზოგადოება საფთიექო საქონელითა და მასალით ვაჭრობასა და მისი განყოფილება ბაქოში. ც. 19,475.

(10—1)

რამაშკა ბურელისა

საუკეთესო საშუალება აქამომდე ცნობილ საშუალებათა შორის.

უეცრად სწყვეტავს ყოველ-გვარ შინაური მწერს, როგორც მაგ. შრიჭინებს, პრუსაკებს, ბაღლინჯოებს, რწყილებს, ჯიანჭველებს, ნამის ჭიებს და სხვ.

იგი მოქმედობს უეცრად,

არ შეიცავს არავითარ კაცის ჯანისათვის მავნებელს ნივთიერებას. რომ არავინ არ მოახერხოს თავად მიითვისოს ამ წამლის გამოგონება, გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება გამომგონის ხელის-მოწერას, რომელიც ამ „რამაშკა ბურელის“ ყველა კოლოფზეა.

ფასი კოლოფისა 75 კაპ. და 40 კაპ.

ისყიდება ყველა რუსეთის საუკეთესო მაღაზიებში.

უმთავრესი დეპო ამიერ—კავკასიისათვის არის თბილისში „კავკასიის საზოგადოება საფთიაკო საქონლით ვაჭრობასა და მის განყოფილებში ბაქოს. ც. 19,485

(25—1)

გამოვიდა და ისყიდება

ყველა წიგნის მაღაზიებში

ახალი წიგნი

ა რ ი თ მ ე ტ ი კ ა

სახელმძღვანელოდ სოფლის სასწავლებელთათვის, შედგენილი მიხეილ ზაალის-ძის ყიფიანისაგან.

ფასი 80 კ. გაგზავნით 1 მან.

(10—9)

დაიბეჭდა და ისყიდება

გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში,

ბ ი ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ც ნ ო ბ ა ნ ი

შოთა რუსთაველზე

(რუსთველის სურათით)

გამოცემული

კონსტანტინე მესხიევისაგან.

ფასი 30 კაპიკი.


Доз. ценз. Тифлисъ, 12 Ноября 1884 г. სტამბა არ. კალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი